

კულტურა და თანამედროვეობა, კულტუროლოგია I კურსი
(ეკონომიკა, სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები)
I,II სემესტრი. 2018-2019 წელი
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

როგორ მოვლენად იქცა გლობალიზაცია მცირე ერისათვის?

აირჩიეთ ერთი:

- a. მაშველ რგოლად;
- b. საშიშ მტრად;
- c. მეგობრად;
- d. კეთილგანწყობად.

კითხვა 2

რამ გააცოფა ჩრდილოელი მეზობელი.

აირჩიეთ ერთი:

- a. საქართველოს ევროსტრუქტურებსა და ნატოში გაერთიანების სურვილმა;
- b. საქართველოს ისტორიულმა წარსულმა;
- c. ინვესტიციების მოზიდვამ.
- d. ქართული კულტურის განვითარებამ;

კითხვა 3

რას უნდა ვითვალისწინებდეთ საერთაშორისო ვითარების შეფასების დროს.

აირჩიეთ ერთი:

- a. დიპლომატიურ ურთიერთობებს;
- b. მსოფლიო ეკონომიკას.
- c. მსოფლიო ისტორიას;
- d. ზესახელმწიფოების ორიენტაციას;

კითხვა 4

რა სიუჟეტი დაუდო საფუძვლად მიქელანჯელომ „სიქსტის კაპელას“?

აირჩიეთ ერთი:

- a. ეპისტოლე.
- b. ათი მცნება;
- c. სახარება;
- d. ფსალმუნი;

კითხვა 5

რა არის აუცილებელი დიდი საერთაშორისო გარიგების დროს?

აირჩიეთ ერთი:

- a. პოლიტოლოგია;
- b. მშობლიური ენა;
- c. კომპიუტერი;
- d. პროფესიონალიზმი და პირადი ურთიერთობები.

კითხვა 6

როგორ დამწერლობას ეწოდება ანბანური დამწერლობა?

აირჩიეთ ერთი:

- a. როცა ცალკეული ბგერების გამოხატვა გრაფიკულად ხდება შესატყვისი ასოებით.
- b. ანბანური ანუ ყველასათვის მისაწვდომი დამწერლობა;
- c. ანბანური ანუ მარტივი, პრიმიტიული დამწერლობა;

კითხვა 7

რომელ წელს შეიქმნა საქართველოში პირველი კინოფილმი?

აირჩიეთ ერთი:

- a. 1912 წ.
- b. 1909 წ.;
- c. 1907 წ.;
- d. 1908 წ.;

კითხვა 8

რისი გადაღება შეუძლია მსოფლიოს ჩვენგან?

აირჩიეთ ერთი:

- a. ქართული ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებების;
- b. ეკონომიკის;
- c. ქართული მუსიკის.
- d. ლანდშაფტის;

კითხვა 9

რითი გამოიხატება იტალიელების დამსახურება კულტურის ისტორიის წინაშე?

აირჩიეთ ერთი:

- a. იტალიამ შვა უდიდესი მხატვრები ლეონარდო დავინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, ტიცინი, ბოტიჩელი, ჯორჯონე... და მათი მაღალმხატვრული შემოქმედება. იტალიამ ააგო მარადიული ქალაქი რომი თავისი მდიდარი არქიტექტურული ქმნილებებით. შექმნა საოპერო ხელოვნება;
- b. განავითარეს ზღვაოსნობა და გეოგრაფიული აღმოჩენები.

- c. განავითარეს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ნორმები;

კითხვა 10

რას ეწოდება ხატოვანი დამწერლობა?

აირჩიეთ ერთი:

- a. გეომეტრიულ ფიგურებს;
- b. ხაზვას;
- c. ხის ქერქზე ამოკაწრულ ცხოველთა გამოსახულებებს;
- d. ნახატების საშუალებით გადმოცემულ აზრს.

კითხვა 11

მეცნიერება ხელოვნების შესახებ არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ლინგვისტიკა
- b. ფილოსოფია
- c. ლიტერატურათმცოდნეობა
- d. ესთეტიკა

კითხვა 12

რა უწყობს ხელს ენის ადვილად შესწავლას?

აირჩიეთ ერთი:

- a. რაც უფრო მუსიკალურია ენა;
- b. მართლწერის საკითხები;
- c. ენის სტრუქტურული აგებულება;
- d. ათი მეტყველების ნაწილი.

კითხვა 13

რაში გამოიხატება ერის ინდივიდუალობა?

აირჩიეთ ერთი:

- a. მის ფიზიოლოგიაში.
- b. მის ეროვნულ კულტურაში;
- c. მის კანის ფერში;

კითხვა 14

რა ადგილი უკავია ზნეობას კულტურაში?

აირჩიეთ ერთი:

- a. კულტურა, მაშინ შეუძლია ნორმალური არსებობა და განვითარება, თუ მის ყველა ელემენტს საფუძვლად უდევს, ასაზრდოებს და აკონტროლებს ზნეობა.

- b. ზნეობა არაა სავალდებულო კულტურისათვის;
- c. ზნეობა კულტურის ერთ-ერთი რიგითი აუცილებელი ელემენტია;

კითხვა 15

როგორი თავისუფლება არ არის ჭეშმარიტი თავისუფლება?

აირჩიეთ ერთი:

- a. როცა ადამიანი არ აზროვნებს.
- b. როცა ადამიანი კეთილშობილია;
- c. როცა ადამიანი იქცევა ისე, როგორც მას სურს;
- d. როცა ადამიანი გამხეცებულია;